

ფინანსური ტექნოლოგიების (ფინტეკი) როლი, განვითარების დონე და  
პერსპექტივები საქართველოში

სულხან კილაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,  
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი : საბა ჯაჯანიძე, ასისტენტ პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სულხან კილაძე, 2022

## აბსტრაქტი

მზარდი საფინანსო ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების ყოველდღიურმა განვითარებამ ცხადჰყო, რომ საფინანსო ბაზარზე მნიშვნელოვანი გახდა ახალი, სწრაფი და მოქნილი სისტემების შექმნა, რომელიც ბიზნესში მომსახურების დროს შეამცირებდა, ხოლო მოქნილობას გაზრდიდა. ფინტექის განვითარების პერსპექტივებზე მნიშვნელოვანი კვლევები საქართველოში ამ ეტაპზე არ ჩატარებულა, რადგან არსებული მიმართულება ახალია და მნიშვნელოვნად საჭიროებს გამოკვლევას, თუ რამდენად ეფექტური და ეფექტიანი იქნება საქართველოში. ფინტექი ძირითადად ამ ეტაპზე გამოიყენება საბანკო ორგანიზაციებში და სტარტაპებში, რომლებიც ცდილობენ მაქსიმალურად დაახლოვდნენ კომპანია და მომხმარებელი ერთმანეთს, მინიმალური დროის გამოყენებით.

ფინტექის პერსპექტივების შეფასების მიზნით ჩავატარე რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა, რის საბუძველზეც მომეცა საშუალება შემეფასებინა მისი განვითარების შესაძლებლობები ქართულ ბაზარზე.

თვისებრივი კვლევა ჩატარდა წამყვანი საბანკო ორგანიზაციების მენეჯერებთან, ხოლო რაოდენობრივი, პოტენციურ მომხმარებლებთან, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ფინანსურ ტექნოლოგიებთან. კვლევებმა აჩვენა, რომ მზარდ ფინანსურ კონკურენტულ ბაზარზე მნიშვნელოვანია ისეთი ფინანსური ინსტრუმენტების შექმნა და განვითარება, რომელიც დააჩქარებს და ოპტიმიზირებულს გახდის პროცესების ჯაჭვს. კვლევების საფუძველზე ასევე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბოლო ათწლეულებში მნიშვნელოვნად განვითარდა ფინანსური სექტორი, როგორც არის: ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, სტარტაპები, რომლებიც დისტანციურად ცდილობენ მომსახურების გაწევას და სხვა. ამ ყველაფერმა, კი მნიშვნელოვნად გაზარდა ფინტექის როლი ქართულ ბაზარზე არსებულ ორგანიზაციებში და მათზე მოთხოვნა დღითიდღე იზრდება.

## **abstract**

The day-to-day development of growing financial organizations and institutions has shown that it has become important in the financial market to create new, fast and flexible systems that will reduce service time in business while increasing flexibility. Significant research on the development prospects of Fintech has not been conducted in Georgia at this stage, as the existing direction is new and needs to be analyzed to see how effective and efficient it will be in Georgia.

Fintech is mainly used at this stage in banking organizations and startups that try to bring the company and the customer as close as possible to each other, using a minimum of time.

In order to assess the prospects of Fintech, I conducted a quantitative and qualitative study, on the basis of which I was able to assess its development opportunities in the Georgian market.

Qualitative research was conducted with managers of leading banking organizations, while quantitative, with potential customers related to financial technology. Studies have shown that in a growing financially competitive market, it is important to create and develop financial instruments that accelerate and optimize the chain of processes. Based on research, we can also say that the financial sector has developed significantly in recent decades, such as banks, microfinance organizations, startups that remotely try to provide services, and more. All this has significantly increased the role of Fintech in the organizations on the Georgian market and the demand for them is growing day by day.